საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ისა-ხანი

ისა-ხანი (გ. 1615), კახეთის მეფე, ალექსანდრე II-ის ვაჟის, გიორგის ძე. აღიზარდა ირანში, შაჰის კარზე.

აბას I-მა 1614, საქართველოში ლაშქრობის დროს, კახეთის მმართველად დანიშნა. ი.-ხ-მა კახეთში ფეხი ვერ მოიკიდა და იძულებული გახდა საქართველოს გასცლოდა. შემდეგში შაჰმა თავის ამალაში ჩარიცხა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; დ ა თ უ ა შ ვ ი ლ ი ზ., კ ა პ ა ნ ა ძ ე მ., კახეთ-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XVII საუკუნის 20-იან წლებში, ჟურნ. „ქართველური მემკვიდრეობა", X, 2006.